

F 83-768  
3

ရန်ကုန်တေသန  
ပြည်ထဲခွင့်ပေါ်မှု

347. 235

საქართველო  
საგარეოსამართო





თ ი ზ ი ნ

მ ი ტ ი რ ი ზ ი ს ი ნ ი ს

მირითაღი პანონ.

~~K 4. 960  
3~~ F 83. 768  
~~3~~



1918 წ.

## ჭინასიტყვაობა.

ჩვენ ვძექდავთ „შიწის სოფიადუზაფიის ძირითადი ქანონის“ სრულ ტექსტს. ეს კანონი მიღებულია მუშების, გლეხების და ჯარის-კაცების დეპუტატების საბჭოთა სრულიად რესერვის მესამე ერიოდისაზე (სივზდზე). თვით კანონის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ამავე ყრილობის საგ დეპო სექტიონ წევრებმა, რიცხვით 628 კაცმა. ესენი გამოყვავნილი იყენება 51 გუბერნიის და 4 ოლქის გლეხკაცობისაგან\*). რუსეთში არ დარჩენილი თითქმის არც ერთი კუთხი (გუბერნია, ოლქი, მაზრა), რომელსაც თვითი წარმომადგენელი არ ყოფილებს ამ ყრილობაზე, სადაც შემუშავებულ და მიღებულ იქნა „მიწის სოციალიზაციის კანონი“. გამონაცენის შეადგენს მხოლოდ ჩვენი ამიტრ-კავკასია. დაგილობრივი მენტევიკების წყალობით, რომლებიც აქ მთავრობას სათავეში მოექცენ, ამიტრ-კავკასიის ხელოვნურათ მოსწყვიტეს რუსეთს და მით ჩვენი გლეხკაცობა და სიერთოთ მუშა ხალხი ძალათ ჩამოაშორეს რუსეთის მუშა ხელხს, რომელმაც ჩვენ რევოლუცია და თავისუფლება მოვისწოდა. ამიტომ მოხდა ის, რომ ამიტრ-კავკასიის გლეხკაცობას არა თუ არ გაუგზავნია თვითი წარმომადგენლები სრულიად რუსეთის საბჭოთა მესამე ყრილობაზე, არამედ მან დღემდის არც კი იცოდა ის, რომ მუშების, გლეხების და ჯარის-კაცების დეპუტატების საბჭოთა

\* ) ჭინასიტყვაობის ბოლოში ჩართულია ამ გუბერნიების და ოლქების სია.

სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე შემუშავებულ  
 და მიღებულ იქნა „მიწის სოციალიზაციის ძირითადი  
 კანონი“, ე. ი. კანონი, რომელიც საბოლოოთ სქრის  
 მიწის საკითხს იხე, როგორც ამას მშრომელი ხალხის  
 არსებითი ინტერესები თხრულობს.

მთავარი ჩვენი ყურადღება აქ ჩვენ იმ გარემოებას  
 უნდა მივაქციოთ, რომ მიწის კანონი, რომელზედაც  
 ჩვენ ვლიპარაკობთ, გამოიმუშავეთ და მიიღეთ თვით  
 გლეხებმა, ე. ი. სოფლის მუშებმა; მაშინადამე, ეს კა-  
 ნონი გამოთქვამს და შეესაბამება იმას, რასაც ფიქრობს  
 და რასაც თანაუგრძნობს გლეხკაცობის დიდი უმრავ-  
 ლებობა. ეს არა გავს იმ კანონს მიწის შესახებ, რომე-  
 ლიც ამას წინაზე მიიღო ამიერ-კავკასიის სეიმმა და რომ-  
 ლის გამომუშავებაში და შედგენაში მონაწილეობას  
 იღებდენ არა გლეხები და მიწის მუშები, არამედ ერთი  
 მხრით მემამულების და კაპიტალისტების წარმომადგე-  
 ნელები და მეორე მხრით, ამათი მაჩანჩალები და ამყოლ-  
 დამყოლები-მენშეჭირები. თავისთავათ ივულისხმება, რომ  
 ეს უკანასკნელი გარემოება თავის წაუშლელ ბეჭედს  
 ასებას როგორც ერთს, ისე მეორე კანონს. აშკარაა,  
 მიწის საკითხს ერთნაირი თვალით ვერ შეხედავდენ და  
 ვერ გადაჭრიდენ მუშების, გლეხების და ჯარისკაცების  
 საბჭოთა ყრილობა ერთი მხრით და ბურჟუაზიის და  
 მიწათმულობელების სეიმი მეორე მხრით.

მიწა წარმოების ერთი უდიდესი იარაღია. წინან-  
 დელ დროში, კიმუნისტურ ხანაში. მიწა უკეთესათვის  
 ხელმისაწვდომი, იყო, ვინაიდან მიწაზე კერძო სიკუთრე-  
 ბის უფლება არ არსებობდა. დრო მცდის, საზოგადოე-  
 ბაში ჩნდებიან სხვადასხვა კლასები, არსდება მონობა,  
 შემდეგ ყმობა, დაქირავებული შრომა. საზოგადოება  
 იყოფა ერთი მუქა მყვალეფელებზე და გაყვლეფილებზე,  
 რომლებიც საზოგადოების დიდ უმრავლესობას შეად-

გენერ. ასეთი დაყოფის საფუძველს შეაღებნ წარმოების იარაღებზე კერძო საკუთხების წარმოშობა-განვითარება. ადამიანების გათანასწორება შეუძლებელია ისე, თუ იმ მოისპონ ერთი ადამიანის მეორე ადამიანის მიერ დაჩაგვრა და გაყვლეფა. ეს ჩაგვრა და ყვლეფა კი მოისპობა მხოლოდ მაშინ, როცა მოისპობა წარმოების ყოველგვარ იარაღზე (მიწაზე, მიწის გულზე, რკინის ჯზებზე, ფარიფა-ქარხნებზე, მაშინებზე და სხვ.) კერძო საკუთხების უფლება და ყოველივე ეს მთელი ხალხის საკუთხებათ გადაიქცევა. ეს არის სოციალიზმი, და კაცობრიობა, თავისი მოწინავე რაზმის — მუშათა კლასის სახით, უკვე დიდი ხანია მიისწოდეთის აქეთქენ. რესერის დღეგანდელი დიდი რევოლუცია მითაა შესანიშნავი, რომ ის დასაწყისია დრომოქმულ ბურჟუაზიული წეს-წყობილების გარდაქმნის სოციალისტურ წესწყობილებათ.

ეს გარდაქმნა უნდა დაიწყოს მიწის სოციალიზაციიდან. რაზე ეყრდნობა მიწის სოციალიზაცია, რა შეაღებნ რის საფუძველს? — მიწაზე ისპობა კერძო საკუთხების უფლება, მიწა ეკუთვნის მთელ მშრომელ ხალხს; ის ეძლევა სასარგებლოთ მხოლოდ იმას, ვისაც მისი დამუშავება შეუძლია თავისი საკუთარი შრომით და თავისი ოჯახის წევრების დახმარებით. მიწა ერთმევა უსასყიდლოთ კერძო მესაკუთრეებს, ეკლესიებს, მონასტრებს, ყოფილ მეფის გვარეულობას; უსასყიდლოთ ერთმევა ამით მასთან ერთათ ყოველგვარი სამეურნეო იარაღი შენობებით და პირუტყვით. ყველა ეს მიწები, შენობები, სამეურნეო იარაღი გადადის გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა განკარგულება ში. გლეხების დეპუტატების საბჭოებში უნდა ვამოიმუშავონ მწის ნორმა, რომელიც საჭიროა გლეხის ანუ სოფლის მუშის ოჯახის არაღიანიბული ასევ-

მომისათვის: აქ მხედველობაში მაღალული უნდა იქნას ოჯახის მოთხოვნილება, მიწის ფონდის რაოდენობა, ნიადაგის თვისება, მიწის ნაკრების მდებარეობა სიშორებისალოებებს მხრით და სხვ.

„მიწის სოციალიზაციის ძირითად კანონში“ დაწერილებით და გარკვევით არის ნაჩვენები მიწის სოციალიზაციის სამრთო დებულებები და ავრცელება, თუ როგორ, რა წესით უნდა გატარდეს ცხოვრებაში ეს უდიდესი რეფორმა. ამ კანონის სისწორით ცხოვრებაში გატარება გაჰიყრებულ, ღარიბ გლეხობის საბოლოოთ გამოიყვანს დღვევის დებულებები აუტანელი მდგომარეობიდან; გლეხი, რომელის მუშა გადაიქცევა ნამდვილ მოქალაქეთ, საზოგადოების შეგნებულ წევრთ; მას გაედება კინ სწავლა განათლებისაკენ, მიყცემა საზოგადება ეზოროს უმაღლეს კულტურის. თითოეული გლეხი, ანუ სოფლის მუშა გალებულის ღრმით ჩაფიქრდეს ამ კანონის თითოეულ მუხლეს, სავსებით შეითვისოს და გაატაროს ის ცხოვრებაში. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი როდი აფუნქშებს მიწის საკითხს; პირიქით, ის სჭრის ამ საკითხს ძირშივე. სულ სხვანაირია ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის კანონი მიწის შესახებ.

ეს უკანასკნელი კანონი მიწის საკითხის გადაჭრის გვერდს უვლის, მიწის საკითხს ის აფუნქშებს; და ეს იმიტომ, რომ ამიერკავკასიის სეიმს სწადია იმს შენარჩუნება, რაც რევოლუციამდე არსებობდა; ის ძალაში ტოვდეს კერძო საკუთრებას მიწაზე, და თუმც კერძო შემაძლებებისათვის ნორმას აწესდეს, რომლის ზედით მიწები მათ უნდა ჩამოერთვათ, მაგრამ ეს ნორმა მხოლოდ გლეხებისათვის თვალებისასხვევებითაა გამოვლილი და მართლაც რა მნიშვნელობა უნდა დაფრინეს ამ ნორმის, როცა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება სა-

ვსებით დაცულია? რა შნიშვნელობა აქვს ამ ნორმას, როცა მიწის ყიდვა-გაყიდვა ისევ ძალაში ჩემია: ყველის შეუძლია მიწის ყიდვა-გაყიდვა, შეძენა-გაღატება და სხვ. ეს მიგვიყვანს იქამდის, რომ მიწა სულ მცირე წნის განმავლობაში ისევ სხვილ მიწათმფლობელების ხელში მოიყრის თავს, და ამ ნაირათ მიწის საკითხი ხელისხმა წამოყოფს თავს.

ამიერ-კავკასიის სეიმის კანონი მიწის შესახებ კადევ უფრო საყურადღებოა მეორე მხრით. საკმარისია ცატათი ღრმით ჩაუკვირდეთ ამ კანონს, რომ თქვენ დარწმუნდეთ იმაში, რომ სეიმის კანონი უფრო მეტ ყურადღებას იქცევს სხვილ მემამულეებს და იმათ ბეჭდს, ფინებ უმიწაწყლო ან მცირე-მიწიან გლეხებს, და ეს არც გასაკვირდებელია, ვინაიდან ამ კანონის მიღება სეიმში დამოკიდებულია იყო მემამულეებზე. სეიმის კანონის უფრადღება სხვილ მემამულეებისადმი უმ თავრესათ იმათთვის ნორმის დაწესებაში გამოიხატება. ეს ნორმა სამნირია. ბირეული ნორმა შეიცივს მაღალ კულტურის მექანიზმებს (მკურნალობა, ბაბბის მოყვანა, თამბაქო და სხვ.) და უდრის 7-დან 10 დესეტინამდე მიწას (14—20 დღიური, ან 20—30 კუვა); შეორენთნა შეიცავს სახნავ-ხათეს მიწებს და უძრის 15-დან 20 დესეტინამდე მიწას (30—40 დღიური, ან 42—55 კუვა); შესამე ნორმა შეიცავს ისეთ მეურნეობას, რომელიც საქონლის მოშენების მისაღებას და უდრის 40-დან 50 დესეტინა მიწას (80—100 დღიური ან 120—150 კუვა). ასეთი ნორმა უნდა დაურჩეს სეიმის კანონის ძალით ყველა სხვილ მემამულეს, კანონი ყურადღებას არ იქცევს იმას, საჭიროებს ამოდენა მიწას მემამულის ოჯახი, ან შეუძლია თუ არა ამ ოჯახს ამოდენა მიწას საკუთარი უჩომით დამუშავება. აშენოთ, რომ ერთი ოჯახი, რავინდ მრავალ-ზოცხოვანი არ იყოს ის, საკუთარი შრომით ვერ შესძლებს 10 დე-

სეტინა ვენახის ან ბამბის მოვლა-მოშენებას, ან კიდევ 15—20 დესეტინა მიწის დახვნა-დათესვას. მაშიასადამეც ყველა ასეთი ნორმის მქონებელმა ოჯახმა უნდა იქიროს მუშები თავის ზეურნეობის საწარმოებოათ, ან უნდა ძველებურათ საღილოთ გასცეს თავის მიწები. ეს ერთი. მეორეც ის, რომ განა ბევრია ჩვენში ისეთი მემამულები, რომელთაც ზევით ჩამოთვლილ ნორმაზე მეტი მიწა მოეპოვებათ? ჩვენ ვიცით, რომ ასეთების რიცხვი ძლიერ მცირეა. აქედან გამოდის ის, რომ ჩამოსართმევ მიწების რაოდენობა მეტათ შეცირე აქნება, მაშიასადამეც, მეტათ მცირე იქნება იმ მიწების რაოდენობა, რომლებიც გლეხებს უნდა გადაეცეო სასარგებლოთ. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ თუ ვინიცობაა სეიმის კანონი ცხოვრებაში გატარდა, და გლეხები ამით დაკმაყოფილდენ, გლეხთა უშეტესობა ისვე მემამულების ხელში დარჩება, ვინაიდან მათ მეტი გასაჭანი არ ექნებათ.

სეიმის კანონის დასახასიათებლით კ. დევ შემდეგი უნდა ვთქვათ: მაშინ, როცა მემამულების შესახებ ის ასე ზედმიწევნით მზრუნველობას იჩენს და იმათვის კარგა მოზრდილ ნორმებს აწესებს, ის სრულებით არაურს ამბობს იმაზე, თუ რა ნაირი უნდა იყოს იმ მიწის ნორმა, რომელიც გლეხის, სოფლის მუშის ოჯახის-თვისაა საჭირო. მაშინ, როცა „მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი“ განსაკუთრებით ამ ნორმას აქცევს ყურადღებას და დაწვრილებით, წმინდა მეცნიერული გზათ იკვლევს ამას, სეიმის კანონი მიწის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ სხვილ მიწათმფლობელებზე ზრუნავს, მას მარტო ამათი ბედი აწუხებს.

აქვე უნდა დაუმატოთ ისაც, რომ სეიმის კანონი მიწის შესახებ ერთი სიტყვითაც არ ისხენიებს მიწის გჭლს, ტყეებს, ტბებს და წყლებს,—თუ ფის ხელში რჩება ყველა ეს, ან როგორი წესი იქნება შემოდებული

მიწის გულით, ტყით და წყლით სარგებლობისათვის. ყველა აშის გამოტოვება კანონში, ომელიც მიწის საკითხს, თუ სავსებით არ სჭრის, ეხება მაინც, გულმა-ვიწყობით არ შეიძლება იხსნას ერთი სიტყვით სეიმის კანონის შემდგენლებმ, ამ საკითხს განვებ აუარეს გვერდი, და თუ ამ კანონს ძალა დაუჩია, წყლები, ტბები, ტყეები და სხვა სავსებით ისევ ძველ მფლობელ-თა ხელში უნდა დარჩეს ეს კადევ იმას მოასწავებს, რომ ამიერ-კავკასიის სეიმის კანონი მიწის შესახებ ყოვე-ლივე სამართლიანობას მოკლებულია და ის პირდაპირ უღარიშესი გლეხკაცობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ამიერ-კავკასიის სეიმის კანონის შედარება „მიწის სოციალიზაციის ძირითად კანონთან“ ყველასათვის აშკა-რათ ხდის ამ გარემოებას, რომ სეიმის კანონი შედგე-ნილია მემამულების და მდიდრების სასარგებლოთ და არა გლეხების, მათინ, როცა „მიწის სოციალიზაციის კანონი“ კი მხოლოთ და მხოლოთ ღარიბი გლეხების, სოფლის მუშების ინტერესებს იცავს.

ეს ძირითადი განსხვავება ამ ორ კანონს შორის ვარეგან პირობებშიაც კი იხატება. სეიმის კანონი შეი-მუშავეს მაღლიდან, გლეხების წარმომადგენლების დაუ-სწრებლათ; იმას ატარებენ ცხოვრებაში საადგილ-მმუ-ლო კომიტეტები ან მთავრობის მიერ მაღლიდან დანი-შნული პირები. „მიწის სოციალიზაციის კანონი“ კი, როგორც ჩვენ დავინახეთ, თავიდან ბოლომდების თვეთ გლეხკაცობის წარმომადგენლების მიერ არის შემუშავე-ბული და მიღებული; და ცხოვრებაშიც ის ტარდება მხოლოთ გლეხების დეპუტატების საბჭოების მიერ.

აშკარაა, თუ რომელი კანონი უნდა იირჩიონ გლეხებმა თავისითვის, თუ რომელი კანონი უნდა გარხა-დონ იმათ თავის საკუთარ კანონათ. ეს არის „მიწის სოციალიზაციის კანონი“, რომელზედაც ჩვენ ახლა გადავდიგართ.



## 08 გუგურნიიბის და ოლეჩის ხის,

რომელთა ცლების თავისი წარმომადგენლები ყავდა სატრაქ  
 სრულიად უსკოს მესამე ურილობაზე (1918 წლის იანვრის  
 პირველ რიცხვებში) წარმომადგენელთა რაოდენობის ჩერენებით:

გუგურნიიბი:	წარმომადგ.	გუგურნიიბი	წარმომადგ-
ლიფლიანის .	2	სიმბირსკის .	3
აიროსლოვის .	8	ტეერის .	36
ჩერნიგოვის .	7	სამარის .	22
ხერსონის .	2	ვიტებსკის .	18
ხორვათის .	17	ვოლონის .	5
უფის .	15	ბესარაბიის .	4
ტუღის .	28	ხოლმის .	1
თავრიდის .	4	გოტესკის .	13
ტომისკის .	14	გორიონევის .	16
ირკუტსკის .	1	გოლონის .	1
კრისკის .	24	გროდნის .	2
პფრიმოგრადის .	10	გოლოგდის .	9
პერმის .	21	ვლადიმირის .	14
ორლოვის .	15	არხანგელსკის .	5
ოლონეცის .	7	ასტრახანის .	10
ოლონეცის .	2	მოგილიოვის .	40
ნოვგოროდის .	9	ენისეის .	5
ნიჟენბურგის .	8	მინსკის .	8
პოლტავის .	2	მოსკოვის .	21
პერმის .	14	გვარიერინისლავის .	2
პსკოვის .	29	კალუგის .	19
პოდოლის .	3	კაზანის .	28
ტამბოვის .	11	კურლიანიდის .	2
ტობოლის .	3	კოსტრომის .	22
სარატოვის .	18	აკმოლინსკის თლეჭ. .	2
სტავროპოლის .	10	დონის .	4
სმოლენსკის .	23	ალტაის .	7
		უფანის .	2

გლეხების, ეუზების და ჯარისკაცების დეპუტატების  
 სამკოოთ სრულიად რუსეთის მესამე ურილობის საგლეხო  
 სეჭულის და საადგილ-მამულო კომიტეტის პირველ სრუ-  
 ლიდ რუსეთის ურილობის წევრები, როცხოთ 628,  
 ნ1 გუგურნიილან და 4 ოლეჩიდან!

# მიწის ცოციალიზაციის პირითაღი კანონი.

განვითარება I.

საქართო დებულება.

მუხ. 1. ყოველივე საკუთრება მიწაზე, მიწის გულ-  
სა, წყლებსა, ტყეებსა და ბუნების ცოცხალ ძალებზე  
რუსთავის ფადერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის საზღ-  
რებში სამუდამოა ისპობა.

მუხ. 2. მიწა ამიერკიდან სრულიად უსასყიდლოთ  
(იქნება ეს აზერა, თუ ფარული) მოელი მშრომელი  
ხალხის სარგებლობაში გადადის.

მუხ. 3. მიწით სარგებლობის უფლება ეკუთვნის  
მხოლოდ მათ, ვისც საკუთარი ძალ-ღონით შეუძლია  
მისი დამუშავება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლე-  
ბიც ამა კანონით ცალკეა განმარტული.

მუხ. 4. მიწით სარგებლობის უფლება არ განისაზ-  
ღრება არც სექსოთ, არც სარწმუნოებით, არც ეროვ-  
ნებით, არც ჰვეზებით.

მუხ. 5. მიწის გულის, ტყეების, წყლების და ბუნე-  
ბის ცოცხალ ძალების განკარგულება ეკუთვნის, — მათი  
მიწის გულის მიხედვით, — სამაზრო, საგუბერნო, სა-  
ოლქო და ფედერალურ საბჭოთა მთავრობას, უკანა-  
სკნელის კანტროლის ქვეშ. მიწის გულით, ტყეებით,  
წყლებით და ბუნების ცოცხალი ძალებით სარგებლობა და  
განკარგულების წესი ცალკე კანონით იქნება განმარტული.

მუხ. 6. კერძო მესაკუთრეთა სულიერი და უსულო  
ყოველივე სასოფლო-ხმელერეთ იარაღი (живой и

мертвый инвентарь) аრхивомэул მეურნეობიდან უსა-  
ხყიდლოთ გადადის, — მისი მნიშვნელობის გიხედვით, —  
სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო და ფედერალურ საბ-  
ჭოების საადგილ-მამულო განყოფილებათა განკარგუ-  
ლებაში.

მუხ. 7. მე-სა უცხლში ონიშნულ მეურნეობათა ყვე-  
ლა შენობები, აგრეთვე მათი ყოველივე სასოფლო-სა-  
მეურნეო წარმოება, — მათი მნიშვნელობის გიხედვით, —  
გამოუსყიდველით გადადის სამაზრო, საგუბერნიო, სა-  
ოლქო და ფედერალურ საბჭოთა განკარგულებაში.

მუხ. 8. ყველა იმ პირთ, რომელთაც მუშაობა არ  
შეუძლიათ და რომელთაც ამ კანონის ძალით ჩატარ-  
მევათ მიწა, ტყეები, ინვენტარი და სხვა ქონება, — რო-  
მელიც ამ მიწაზე მოიპოვება, — და რომელნიც ამით  
კარგვენ არსებობისათვის ყოველივე საშუალებას, შე-  
უძლიათ, ვიდრე მუშაობის-უნარ-მოკლებულ მოქილა-  
ლაქეთა დაზღვევას შესახებ საერთო კანონი გამოიცე-  
მოდეს, ადგილობრივ სასამართლოს და საბჭოთა მთავ-  
რობის საადგილ-მამულო განყოფილების დამოწმებით  
ისარგებლონ პენსიის მიღების უფლებით (სიკვდილამდე,  
ან სრულწლოვანებამდე), რომლის სიღიდე არ უნდა  
აღემატებოდეს სალდათებისთვის არსებულ პენსიას.

მუხ. 9. სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწე-  
ბის მშრომელთა შორის განაწილებას, — ამ მიწების მნი-  
შვნელობის მიხედვით, — განაგებენ სოფლის, საზოგა-  
დოების, მაზრის, გუბერნიის, ოლქის საბჭოთა მთავრო  
და ფედერალური საადგილ-მამულო განყოფილებები.

მუხ. 10. თითეულ რესპუბლიკაში მიწის სათაღარი-  
გო ფონდს მთავარ და ფედერალურ საბჭოთა საადგილ-  
მამულო განყოფილებები განაგებენ.

მუხ. 11. გარდა იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო  
მნიშვნელობის მიწა სამართლიანათ განაწილდეს მშრო-

მელთა შორის და ყოველი ეროვნული სიმღიდოები რაც  
შეიძლება მეტი ნაყოფიერებით იქნეს გამოყენებული, —  
ადგილობრივ და ცენტრალურ საბჭოთა მთავრობის სა-  
ადგილ-მ. მულო განყოფილებებმა მიწათა განკარგულე-  
ბის დროს შემდეგი მიზნები უნდა დაიხახონ:

ა) შექმნა ისეთი პირობების, რომლებიც ხელს შეუ-  
წყობენ ქვეყნის საწარმოვი ძალთა ზრდას მიწის ნაყო-  
ფიერების გაძლიერებას მხრით, სასოფლო-სამეურნეო  
ტექნიკის განვითარება და აგრეთვე მშრომელ მასაში  
სასოფლო-სამეურნეო ცოდნის უმაღლეს წერტილამდე  
განვითარება.

ბ) სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების სა-  
თაღარიგო ფონდის შექმნა.

გ) განვითარება ისეთ სასოფლო-სამეურნეო წარ-  
მოებათა, როგორიც არის: მებაღეობა, მეფუტკრეობა,  
მებოსტნეობა, პირუტყვის მოშენება, მერძევეობა და სხ.

დ) სხვადასხვა ზონებში \*) ხვნა-თესვის ნაკლებ  
ნაყოფიერ სისტემის ნაცულათ უფრო ნაყოფიერ სი-  
სტემაზე გადასვლის დაჩვრება, რაიცა მიწის მშრო-  
მელთა თანასწორათ განაწილებული დასახლებით უნდა  
მოხდეს.

ე) კულტურულ წარმოების განვითარება სოფლის  
მეურნეობაში კერძო მეურნეობათა მავიგრ, როგორც  
უფრო გამოსადევი, შრომისა და ნაწარმოების ეკონომიკის  
მხრივ, სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლის შიზნით.

მუხ. 12. მშრომელთა შორის მიწის განაწილება  
უნდა ხდებოდეს თანასწორ-საშრომო საფუძველზე ისე,  
რომ, როდესაც სამომზარებლო-საშრომო ნორმა ეხა-  
მება ამა თუ იმ რაინში ისტორიულათ შექმნილ მიწით

\*) აღილებ , რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, პირობით, ნიადაგით და სხვ. ერთო მეორი: გან განსხვავ-  
დებიან.

სარგებლობის სისტემას, შეკრიული ნორმა არ უნდა აღებისტებოდეს თითვეულ ცალკე მუზიკალური ელემენტების რაოდენობას და ამავე დროს ის მიწის მუშაობის ოჯახის არა-ლარიბულ ცხოვრებას უნდა უზრუნველყოფდეს.

მუხ. 13. სასოფლო-სამეურნეო შინაგან ელემენტის მიწით სარგებლობის უფლების საერთო და ძირითად წყაროთ პირადი შრომა ითვლება. ისას გარდა, სასოფლო-სამეურნეო კულტურის ასამაღლებლათ (სასოფლო-სამეურნეო სამაგალითო ფერმების, ან საცდელ და საჩვენებელ მინდვრების მოწყობა) საბჭოთა მთავრობის ორგანოებს შეუძლიათ დაიკავონ სათადარიგო მიწათა-ფონდიდან (ყოფილი სამონასტრო, სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო და კერძო შემამულებების) მიწის განსაზღვრული ნაკვეთები და დაამუშავონ შრომით, რომლის ქირის იხდის სახელმწიფო. ეს შრომა მუშაოთა კანტროლის საერთო ნორმებს ექვემდებარება.

მუხ. 14. ყველა მოქალაქენი, რომელიც მიწათმოქმედებას მისდევენ, უნდა დაზღვეულ იქნენ სახელმწიფო ხარჯით სიბერის, აგათ-მყოფიბის, დასახიჩრების შემთხვევათაგან, რაც მათ შრომის უნარს უკარგავს.

მუხ. 15. ყველა შრომის უნარს-მოკლებულ მიწის მუშებს და იმათ ოჯახების მუშაობის უნარ-მოკლებულ წევრებს უნდა აღმოჩენილ ექნეს მოვლა-პატრონობა საბჭოთა მთავრობის ორგანოების ხარჯზ.

მუხ. 16. თითოული მშრომელი სასოფლო შეურნეობა დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლის, საქონლის კორის, მოუსავლობის, გვალვის, სეტყვის და სხვა სტრუქტურ უბედურებათაგან, საბჭოთა საურთერთო დაზღვევის საშუალებით.

მუხ. 17. ზედ-მეტი შემოსავალი, რომელიც გამომინარეობს მიწის უკეთეს ნაკრების ბუნებრივი ნაყოფის



ფიქრებიდან, და აგრეთვე მათი ბაზარზე დასამხრისათ კრიტიკული განვითარებისათ.

მუხ. 18. სასოფლო - სამეცნიერო მაშინებით და ოქსლეულობით ვაჭრობი საბჭოთა მთავრობის ორგანოების მონიტორინგის ხდება.

მუხ. 19. პურით ვაჭრობა, როგორც საგარეო, ისე საშინაო ბაზარზე, სახელმწიფო მონიტორინგის უნდა შეაღენდეს.

### განყოფილება II.

ვის აქვთ მიწით სარგებლობის უფლება.

მუხ. 20. მიწის ზედა-პირის ცალკე ნავრებით ხარგებლობა საზოგადო და პირადი სავიროებისთვის რესერტის საბჭოთა ფედერატიულ რეპუბლიკის სამდვრებელ შეუძლიათ:

ა) კულტურულ-განმანათლებელი მიზნით:

1. სახელმწიფოს საბჭოთა მთავრობის ორგანოების (ფედერალური, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, საზოგადოების და სოფლის).

2. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (ადგილობრივ საბჭოების მთავრობის კონტროლით და ნებართვით).

ბ) სასოფლო მეურნეობის წარმოების მიზნით:

3. სასოფლო-სამეცნიერო კომმუნებს.

4. სასოფლო-სამეცნიერო ამხანაგობებს.

5. სოფლის საზოგადოებებს.

6. კერძო ოჯახებსა და პირებს.

გ) შენობების აგების მიზნით:

7. საბჭოთა მთავრობის ორგანოებს.

8. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კერძო ოჯახებსა და პირებს (თუ შენობის აგება შემოსაფლე არ ისახავს მიზნათ).



9. საგაჭრო-სამრეწველო და სატრანსპორტო ფერების სებულებებს (საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით და კანტროლს ქვეშ).

ლ) მიმოსვლის (გზების გაყვანის) მიზნით.

10. საბჭოთა მთავრობის ორგანოებს (ფედერა-ტიულ, საოლქო, საგუბერნიო, სამაზრო, საზოგადოების და სოფლის, გზების მნიშვნელობის მიხედვით).

### განვითარება III.

წესი მიწის მიღებისა სასარგებლობა.

მუხ. 21. მიწი სასარგებლოთ პირველ რიგში მათ ეძლევათ, ვისაც სურს მისი დამუშავება არა პირადი გამორჩენისა, არამედ საზოგადო სარგებლობისთვის.

მუხ. 22. პირადი ინტერესებისთვის მიწით სარგებლობის დროს მყარდება შემდეგი წესი:

პირველ რიგში—ადგილობრივი უმიწა-წყლო და მცირე მიწიანი გაფეხბი და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო შეზები (მოჯამაგირეები) თანასწორ პირობებში.

მეორე რიგში—მოსულნი, ესე იგი, ისინი, რომელნიც დასახლდენ ამა თუ იმ ადგილის მიწის სოციალიზაციის კანონის გამოცხადების შემდეგ.

მესამე რიგში—არა მიწის მშრომელნი, რომელნიც აღნუსხული იქნებიან ადგილობრივ საბჭოთა მთავრობის საადგილ-მამულო განყოფილებაში.

**შენიშვნა:** მიწის სარგებლობაში გადაცემის წესის დამყარების დროს უპირატესობა ეძლევა მშრომელ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს კერძო მეურნეობათა წანაშე.

მუხ. 23. მებალეობის, მებოსტნეობის, მეფუტკრეობის, მეთვეზეობის, პირუტყვის მოშენებისა და ტყის გაშენებისთვის მიწა გადაუცემა სარგებლობაში შემდეგ საფუძველზე:

პირველ რიგში—ხვნა-თევის-თვის გამოუსადეგია  
მიწა, მეორე რიგში—მიწა, რომელიც ხვნა-თესვისთვის  
გამოსადეგია, მაგრამ ადგილობრივ პირობების მიხედ-  
ვით იმა თუ იმ სასოფლო-სამერჩენეო მრეწველობისთვის  
უფრო შესაფერია.

მუხ. 24. შენობების ასაგე?<sup>ა</sup>თ მიწა სასოფლო  
ადგილებში გაიცემა ადგილობრივ საბჭოთა და მცხოვ-  
რებთა ნებართვით. ქალაქებში მიწა გაიცემა იმ წესით,  
რა წესითაც ადგილობრივ საბჭოში შეტანილ იქნება  
განცხადებანი, რამდენათაც შენობის აგება ზიანს არ  
მიაყენებს მეზობელ შენობებს და აკმაყოფილებს სააღმა-  
შენებლო წესების სხვა მოთხოვნილებებს.

**შენიშვნა:** საზოგადოებისათვის სასარგებლო შენო-  
ბათა ასაგებათ მიწა რიგს გარეშე მიეცემა.

### გაცემის დღე

მიწის დასამუშავებლათ სამომხმარებლო-საშრომა ნორშის  
დამყარება.

მუხ. 25. მიწის რაოდენობა, რომელიც ვიწის  
დასამუშავებლათ მიეცემა ცალკე მეურნეობას საარსებო  
სახსრის მოსაპოებლათ,—არ უნდა იღება ტებოდეს ამა  
თუ იმ ზონის იმ სამომხმარებლო-საშრომო ნორმას,  
რომელიც ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქციის მიხედვით  
უნდა იქნას გამოანგარიშებული.

## ინსტრუქცია

მიწით სარგებლობის სამომხმარებლო-საშრომა ნორშის  
დასადგენათ.

§ 1. მოელი სამ-წათ-მოქმედო რესეთი იმდენსავე  
ზონებათ ნიწილდება, რამდენი ხვნა-თესვის სხვა და სხვა  
სისტემა (მორიგეობით მიწის ახალი ნაკრების დამუშა-  
ვება, სამ-ყანიანი, მრავალ-ყანიანი, ნაყოფთა მორიგეობა

და სხვა სისტემები) ისტორიულათ შექმნილა დღევან-  
დელ სამეცნიერო ხანაში.

§ 2. თოთვეულ ასეთ სამიწათ-მოქმედო ზონისათვის  
წესდება თავისი განსაკუთრებული სამომხმარებლო-სა-  
შრომი ნორმა. ის იცვლება თვით ზონაში ჰავისა და  
ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების მახსელებით მიწის  
თოთვეულ კატეგორიაში (მაგ., სახნავ-სათვის, სავენახე,  
სათობი და სხ.), აგრეთვე ბაზართან სისხლოვისა (ქა-  
ლაქთან, ან რკინის გზასთან) და სხვა პირობების მი-  
ხედით, რომელთაც აქვთ ოღვალობრივათ თვალსაჩინო  
მნიშვნელობა.

§ 3. ყოველ ზონაში ნორმის სისწორით გამოხა-  
ანგარიშებლით ახლო მომავალში უნდა მოხდეს მოვლი  
რუსეთის სასოფლო-სამეცნიერო აღწერა.

**შენიშვნა:** მიწის სოციალზაკის კანონის ცხოვ-  
რებაში გატარების შემდეგ დაუყონებლივ ხდება მიწის  
გაზომვა და მისი ტოპოგრაფიული გადაღება.

§. 4. მიწის განაწილება მიწის გაშრომელთა შო-  
რის თანასწორ-საშრომო საფუძველზე ხდება თანდაონ  
სხვა და სხვა სამიწათ-მოქმედ ზონებში იმ საფუძველზე,  
რომელიც ღინიშნულია ამ კანონში.

**შენიშვნა:** მიწის სოციალზაკის კანონის ცხოვ-  
რებაში სივებით გატარებამდე, ადგილობრივით მიწათ-  
მოქმედთა ურთიერთობის აქტისრიგებენ საბჭოების საად-  
გილ- მასულო განყოფილებები განსაკუთრებული ინსტრუქ-  
ციის მიხედვით.

§ 5. სამომხმარებლო-საშრომო ნორმის განსაზღვ-  
რის დროს ამა თუ იმ ზონისთვის ოდებულ უნდა იქნეს  
ნორმა (ზომით საშეალო მეცნიერობა) ამ ზონის ერთი  
მაზრათაგანისა (ან სხვა რომელიმე—სავარცია შისი თა-  
ნასწორი— აღმინისტრატიულ სამეცნიერო ერთეულისა)  
შორის ისეთ სიმჭიდროვით, რომელიც ამ ზონის-  
თვის ყველაზე ნაკლებია და მიწის სხვა და სხვა კატე-

ვორისების ისეთი პროცესით, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა (საბჭოების საიდგილ მამულო განციფრებათა საოლქო ან საგუბერნიო ხიერდის) აზრით, მიღებული იქნება, როგორც ყველაზე უფრო ნორმალური, ესე გრ, ყველაზე უფრო ხელის შემწყობი მეურნეობის ის ტრის წარმოებისათვის, რომელიც უფრო მეტა გავრცელებულია ამ ზონაში.

§ 6. ამ არსებულ გლეხთა საშუალო მიწათ-მფლობელობის განსაზღვრის დროს შევდევლობაში უნდა იქნეს მიღებრილი პროცესით მხოლოდ ის მიწები, რომელიც 1917 წლიდე ფაქტოურათ იმყოფებოდა მშრომელ-გლეხთა სარგებლობაში, ე. ი. გლეხთა საზოგადოებათა, ამხანაგობათა, კერძო პირთა მიერ ნაყიდი სანადელო და სიჯარო მიწები.

§ 7. ამ გამოანგარიშების დროს სათვალავში არ უნდა იქნეს მიღებული ტყები, მიწის გული და წყლები.

§ 8. ამ შემთხვევაში არ უნდა იქნეს სათვალავში მიღებული კერძო-მფლობელ არა-მშრომელ მეურნეობითი მიწებიც, რომლებიც აქვთ ხაზინის, კერძო ბანკების, მონასტრების, ეკლესიების, ყოფილ მფის გვარეულობის და სხვა შემამულებების ფაქტიურ მფლობელობასა და სარგებლობაში იმყოფებოდნ, რაღაც მათგან სდგრა მიწის სათადარიგო ფონდი, რომლიდანაც მიეცემა მიწები ყველა უმიწა-წყლო და მცირე-მიწის შემნეთ, რომელთაც ამგამათ აქვთ გლეხთა არსებულ სამომხარებლო-საშრომო ნორმაზე ნაკლებ მიწა.

§ 9. მოელი მიწის რომელის განსაზღვრის დროს, რომელიც 1917 წლის ოქონიუკიაშდე იმყოფებოდა მშრომელ გლეხთა ფაქტიურ სარგებლობაში, რომელიც მიწის კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, სარწყავი, ურწყავი, საძოვარი, უვარებისი, საეზოვე, საბოსტნე, საბაღე და სხვ.).

§ 10. ასეთი გამოანგარიშება აუცილებლად გამოიყენება  
მოხდეს როგორც აქსოლიუტური ციფრებით, აგრეთვე  
პროცენტებით მთელი რაოდენობის იღმი თითოეულ ცალკე  
მეურნეობის, სოფლის, საზოგადოების, მაწრის, გუბერ-  
ნიის და ოლქისათვის, ან მეურნეობის ამა თუ იმ სის-  
ტემის მოვლი ზონისთვის.

§ 11. მთელი მაწის რაოდენობის ასეთი განსაზ-  
ღვრის დროს აუცილებლათ უნდა გამორკვეულ იქნას  
თვისება, ან ტევა ყოველ ტიპიურ სახნაზ, ან სათიბ  
დესეტინისა, ამა თუ იმ ზონაში, პურის ან თივის მო-  
სავლიანობის გამოანგარიშებით, დესეტინაზე უკანასკ-  
ნელი ათი წლის განმავლობაში.

§ 12. მაწის რაოდენობის და თვისების განსაზ-  
ღვრის თანავე აუცილებლათ უნდა გამოანგარიშებულ  
იქნეს ამა თუ იმ ზონეს მცხოვრებთა მთელი რაოდე-  
ნობა, რომელიც მისდევს მიწათმოქმედების და აგრეთვე  
ცხოვრობს სასოფლო მეურნეობით.

§ 13. სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მცხოვრებთა  
გამოანგარიშება უნდა მოხდეს სქესისა, წლოვანებისა  
და ოჯახურ მდგომარეობის მიხეთვით თოთეულ მეურ-  
ნეობისთვის ცალ-ცალკე (მხოლოდ შემდეგ უნდა გაუ-  
კეთდეს ჯამები ყველა იმ ცნობებს, რომლებიც შე-  
კრებილია ამა თუ იმ ზონის ყველა სოფლებსა, საზო-  
გადოებებსა, გაზრებსა და გუბერნიებში).

§ 14. მცხოვრებთა ძლიერის დროს აუცილებლათ  
უნდა გამოკვლეულ იქნეს რიცხვი მუშა ძალისა და  
მკამელთა. ამისთვის ყველა მცხოვრები, წლოვანების  
მიხედვით, უნდა დანაწილდენ შემდეგ ნაირათ:

შესრულებულის უნარს მოკლებული:

ქალები	წლოვანებით	12	წლაშდე,
ვაჟები	"	12	"
მამაკაცები	"	60	წლიდან,
დედაკაცები	"	50	"

განსაკუთრებით აღინიშნება ფიზიკური და სული-  
ერი ავალმყოფობის გარე მუშაობის უნარ-მოკლებულნია:

მამაკაცები	18-დან	60 წლამდე	— მუშა ძალის	1,0
დედაკაცები	18 "	50 "	— "	0,8
ვაჟები	12 "	16 "	— "	0,5
ქალები	12 "	16 "	— "	0,5
ვაჟები	16 "	18 "	— ",	0,75
ქალები	16 ",	18 ",	— ",	0,6

შენიშვნა: ამ ციფრების შეცვლა შეიძლება პავისა  
და ყოფა-ცხოვრების პირობების მიხრდვით საბჭო: ა მთა-  
ვრობის შესაფერი ორგანოების გადაწყვეტილებით.

§ 15. დესეტინების რიცხვი იყოფა სამუშაო ძალთა  
რიცხვზე და ამით განისაზღვრება დესეტინების რიცხვი,  
რომელიც მოდის თითოეულ სამუშაო ძალაზე.

§ 16. ამის გამოსარევევათ, თუ ერთ მუშა ძალაზე  
რამდენი შრომის უნარ მოკლებული მკამელი მოდის,  
მიწათ-მოქმედ შრომის უნარ-მოკლებულ მცხოვრებთა  
რიცხვი იყოფა სამუშაო ძალთა რაოდენობაზე.

§ 17. აგრეთვე აუცილებელია აწერილ და გამო-  
ანგარიშებულ იქნება რიცხვი მუშა რეიან და წვრილ  
პირუტყვისა, დომელიც შეიძლება გამოკვებულ იქნება  
ერთს დესეტინაზე ერთი სამუშაო ძალის შემწეობით.

§ 18. რომ გამოანგარიშებულ იქნება აწ არსებულ  
გლეხთა საშუალო მიწათ-მფლობელობა, იმ მახრაში,  
რომელიც უნდა შეიქნება გამოსაველ წერტილათ მთელ  
ზონისთვის, საქირაო განსაზღვრულ იქნება თვისებით და  
მოხავლიანობით საშუალო დესეტინა. ამ საშუალო დე-  
სეტინის მისაღებათ უნდა გაიყოს ნიადაგის მხრით სხვა  
და სხვა დესეტინათა მოსავლის ჯამი ნიადაგის კატე-  
გორიათა რიცხვზე.

§ 19. ჩემო იღნიშნ ული წესით გამოკვლეული სა-  
შუალო რიცხვი უნდა დაედვის საფუძვლით იმ სამომ-  
ხმირებლო-სა მომო ნორის განსაზღვრას, რომელის მი-



ხედვითაც სწარმუებს ცალ-ცალკე შეუჩნეობათა გათანასწორება მიწების სათაღარიგო ფონდთან მთელ ზონის სივრცეზე.

**ზერიზნეა:** იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საშეალო რიცხვი წინასწარი გამოანგარიშების შემდეგ არ იქნება საკმია არა ღარიბული ცხოვრებისათვის (ასილე განყოფ. I, მუხ. 12), ის უნდა გადადიდეს მიწების სათაღარიგო ფონდიდან.

§ 20. სხვა და სხვა კატეგორიების მიწის იმ როდენობის განსაზღვრისათვის, რაც საჭიროა მცირე-მიწი-ანთათვის დამატებით მასიცემთ, მიწის ის რომელიმა, რომელიც ამა თუ იმ მახრაში ერთ სამუშაო ძალაზე მოდის, უნდა გამრავლდეს ამა თუ იმ ზონის სამუშაო და სამიწათ-მოქმედო ძალის რიცხვზე და იქედან გამოკლებულ იქნეს მიწის ის რაოდენობა, რომელიც დღეს მშრომელ გლეხებს აქვთ.

§ 21. როდესაც განისაზღვრება მიწის ის როდენობა (ციფრებით და პროცენტებით თითეულ კატეგორიში), რომელიც სათაღარიგო ფონდში ირიცხება, და როდესაც ამ ციფრის შეეფარდებთ მიწის იმ რომელიმას, რომელიც საჭიროა მცირე-მიწიანთათვის, დამატებით შისაცემათ, შემდეგ უნდა გამოირჩეოს: შეიძლება თუ არა გადასახლება ძმიდე ზონაში. თუ შეიძლება, მაშინ სიჭიროა გამოირჩეოს სათაღარიგო ფონდის რომელიმა და მისი ტევა; თუ არა, იმ შემთხვევაში უნდა გამოირჩეოს, რამდენი ოჯახის გადასახლებაა საჭირო სხვა ზონაში.

**ზერიზნეა:** როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც საკმაო თავისუფლი მიწა, ისევე მაშინ, როდესაც მიწის ნაკლებობაა, საჭიროა ეცნობოს საბჭოთა მთავრობის მთავარ საადგილ-მამულო განყოფალებებს—სად, რამდენი და რა თვისების მიწებია თავისუფლათ დარჩენილი.

§ 22. ცალკე სამუშაო ერთეულთათვის დამა-



ტექნიკური მიწების მიცემის დროს ნათლათ უნდა იყოს გარეული ყოველივე ის, რაც შეეხება იმათი მიწის რომელიმას და ოფიციალური სხვა და სხვა კეტებორიების მიხედვით, პირუტყვით რომელიმას, იგრეთვე ოჯახის შემაღებელობას მუშა ძალის, მქამელთა და სხვ. ჩეხედვით.

§ 23. ცალკე მეცნიერებათათვის დამტებითი მიწების მიცემის დროს სამომხმარებლო-საზრომო ნორმის მიხედვით, ნადევლი უნდა გადიდებულ იქნეს: 1) იმ შემთხვევაში, თუ მუშა ძალი მცტის-ჩეტი დატერიტულია ოჯახის ზროშის უნარ-მოკლებულ წევრებით; 2) თუ ნაკლებ ლირსებიანია ის მიწა, რომელიც უკვე არის ამ შეურნეობაში; 3) სათადარევო ფრნდის იმ მცტის თვისების მიხედვით, რომელიც უნდა ჩიტყეს ამა თუ იმ მიწის მშრომელს (ასევე ხდება სითბო მიწის შესახებაც).

§ 24. სამომხმარებლო-საზრომო ნორმის მიხედვით დამტებითი მიწების მიცემის დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ რაობის საკმარის არ მოიპოვება ამა თუ იმ კარგორიის მიწები, მაშინ ამ შეურნეობას ფლეგა მიწის შესაფერი რომელიმა სხვა კეტებორილან.

#### გაცოლილება V.

ნორმის დაშეარება მიწის გაცემის დროს შენობების ასაგებათ, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის, კულტურულ-განმარტებულების მიზნებისთვის და სხვ.

შეს. 26. როდესაც მიწა იხმარება არა ხენა-ავსევის-თვის, არამედ კულტურულ-განმანათლებელ და სამრეწველო მიზნებისთვის, იგრეთვე პირადი საჭიროებისათვის სახლების ასაშენებლოთ, პირუტყვის მოხატებლოთ, შემაღებელთა და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის, გასაცემ მიწის რომელიმა საზოგადოებრივი აღგიფრობრივი ხადჭოები იმ კერძო პირთა და დაწესებულებებთა საჭიროების მიხედვით, რომელიც თხოვ-



ლობენ მიწის სარგებლობის ნებართვას, რა საზოგადო  
საჭიროების მიზნის თანახმათ, რომლისთვისაც მიწას  
თხოულობენ.

### გაცოცილება VI.

გადასახლება.

მუხ. 27. იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალ მიწების  
სათადარიგო ფონდი საკმარისი არ აღმოჩნდება ამა თუ  
თუ იმ ზონაში მცირე მიწის მქონეთა დამატებით მისა-  
ცემათ, მაშინ მიწის მშრომელთა ერთი ნაწილი შეიძლება  
გადასახლებულ იქნეს სხვა ადგილას, სადაც თავისუფალი  
მიწები საკმაოთ მოიპოვება.

მუხ. 28. ერთი ზონიდან მეორეში გადასახლებას  
წინ უნდა უძლოდეს მიწის მშრომელთა განიჭილება და-  
სასახლებლათ თვით ამავე ზონაში.

მუხ. 29. როგორც გადასახლება ერთი ზონიდან  
მეორეში, ისე ზონის შიგნით დასახლება შემდეგი წე-  
სით უნდა ხდებოდეს: პირველათ ესახლებიან ყველა  
ისინი, ვინც უფრო დაშორებით არის სათადარიგო ფონ-  
დის მიწებზე, ასე რომ ერთნაირათ დაშორებულთაგან:

ა) პირველ რიგში სათადარიგო ფონდის მიწით იმ  
სოფლების მიწის მშრომელნი სარგებლობენ, რომელთა  
მიღამოებშიც არის თავისუფალი მიწების ფონდი.

**შენიშვნა.** თუ ასეთი სოფელი რამდენიმე აღმოჩნდა,  
იმ შემთხვევაში—პირველ რიგში ისინი სარგებლობენ ამ  
მიწით, ვინც ადრე ამჟამავებდა მას.

ბ) მეორე რიგში—იმ საზოგადოების მიწის მუშე-  
ბი, რომლის საზღვრებში მოიპოვება თავისუფალი მი-  
წები.

გ) მესამე რიგში—იმ მაზრის მიწის მუშები, რომ-  
ლის საზღვრებში მოიპოვება ეს თავისუფალი მიწები.

დ) დასასრულ, თუ ხვნა-თეხვის ესა თუ ის სის-  
ტეში რამდენიმე გუბერნიაშია გავრცელებული, მაშინ

იმ გუბერნიის მიწის-გუბერნატორი, რომლის საზღვრებში  
 მოიპოვება თავისუფალი მიწები.

მუხ. 30. ამნარი წესის დროს ერთი ადგილიდან  
 მეორე ადგილს უნდა გადასახლდეს:

ა) პირველ რიგში ნება-ყოფლობით მსურველნი.

ბ) მეორეში—ის საზოგადოებები, რომლებსაც უფა-  
 რო მეტათ აწერებს მიწის სიმცირე.

გ) მცირე მიწის მქონე სახოფლო-სამეუნეო ამხანა-  
 გობები, კომუნები, უფრო მეტ მუშა ძალიანი მცირე  
 მიწიანი ოჯახები და სულ სუსტი მცირე მიწის მქონე  
 ოჯახები.

მუხ. 31. იმ მცირე მიწის მქონე მეურნობებს, ანუ  
 ოჯახებს რომელნიც მდგომარეობის მიხედვით ახალ ად-  
 გილებში უნდა გადასახლდენ, შემდევი წესით უნდა  
 დაურიგდეთ მიწა:

ა) პირველ რიგში — სულ წვრილ მცირე მიწიან ოჯა-  
 ხებს.

ბ) მეორეში — სულ მცირე მიწიან მეტ მუშა-ძალიან  
 ოჯახებს.

გ) მესამეში — მცირე-მიწიან სოფლებს.

დ) მეოთხეში — სამეურნეო ამხანაგობებს და ბო-  
 ლოს კომუნებს.

მუხ. 32. ერთი ზონიდან მეორეში გადასახლება  
 უნდა ხდებოდეს ისეთი ანგარიშით, რომ ის ადგილი, სა-  
 დაც მცირე მიწის მქონენი უნდა გადასახლდენ, ბუნება-  
 რიց პირობებით არა მარტო ნამდვილ საშლალებას აძ-  
 ლევდეს წარჩატებით აწარმოონ მეურნეობა, არამედ  
 შეეფერებოდეს კიდევ (მიწის ზედა-პირით, ჰავთი და  
 სხ.) იმ ადგილის პირობებს, ხაიდანაც მიწის მუშები  
 სახლდებიან. ამასთან აუცილებლივ მხედველობაში უნდა  
 იქნეს მიღებული გადმოსასახლებელთა უფა-ცხოვრე-  
 ბის პირობები და მათი ეროვნება.

შეს. 33. მიწის-მშრომეთა ხალ ადგილებში გაღა-  
სახლებს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს ხარჯით.

შეს. 34. გაღასახლებასთან ერთად სახელმწიფო  
კისრულობს დახმარება აღმოსავანოს ხელიდ დასახლე-  
ბულთ, როგორც შენობების აგებაში, ისე გზების, წყლის  
გაყვანაში, კების მარტივი აბაში, სასოფლო-ხამეურნეო იარა-  
ლების და ხელოვნური სახურის შეძენაში, ხელოვნური  
მორჩივის (სადაც ეს საჭიროა) და კულტურულ-განმა-  
ნათლებელ ცენტრების შექნით.

**შეს. 35:** სოციალისტურ მიწით მოქმედებას გან-  
ვითარების დასაჩქარებლით სახელმწიფო ყოველ-გვარ  
დახმარებას უჩენს ახლად დასახლებულთ კოლექტიური  
მეურნეობის განსაზღვრული გეგმით და მეცნიერულთ  
წარმოებისათვის.

### გაცოლილება VII.

მიწის სარგებლობას ფორმა.

შეს. 35. სოციალისტმას განხორციელების დაჩქრე-  
ბის მიზნით რუსეთის უფლერატიულ სიპროთა რესპუბ-  
ლიკა ყოველგვარ დახმარებას (კულტურული და მატე-  
რიალურის) უჩენს მიწის საზოგადო დამუშავებას, რის-  
თვისაც მშრომელ კომუნისტურ, საბარეელო და საკომ.  
პერიკოდ მეურნეობებს უპირატესობას ძლიერს კერძო  
მეურნეობის წინაშე.

შეს. 36. სოციალისტურნეობის განვითარების შე-  
მაცერატელ მიწის დაქუცხაცებასთან საბრძოლველით  
საჭიროა როგორც კოლექტიურ, ისე კერძო სარგებ-  
ლობის მიწები, შეძლების და გვირით, ერთს ადგილს  
იქნას მიცემული.

### გაცოლილება VIII.

მიწის სარგებლობის უფლებათა შექნა.

შეს. 37. მიწის სარგებლობის უფლებას იძლევა:  
ა) კულტურულ-განმანათლებელი მიზნით:

1. საზოგადოებრივი საჩვენებლობა.

2) სახოფლო მეურნეობის წარმოებისათვის:

1. პირადი შრომა.

2) შენობების ასაგება:

1. საზოგადოებრივი საჩვენებლობა ან აუცი-  
ლებლობა.

2. ბინის საჭიროება.

3. მშრომელი მეურნეობის წარმოების აუცი-  
ლებლობი საჭიროება.

**268**  
**269** (ე) მიმოსვლის ან გზების გასაყვანა:

1. საზოგადოებრივი აუცილებლობა.

### გაცოლილება IY.

**11** მიწის სარგებლობის უფლებათა შეძენის წესი.

მუხ. 38. მიწით სარგებლობის უფლების ყოველი უფლებები განხორციელება წეს უძღვის შესაფერი განცხადების შეტანა სიმუშავების ამ მიწის განცოცლებაში, რომელის ფარგლებში ამა თუ იმ პირს მიწის ნაკერით სარგებლობა სურს.

მუხ. 39. ამ განცხადებით ისახლვრება თეოდოს მიწის მშრომელის შუამდგომლობის გარჩევის რიგის მოხვენელის დაჯმაყოფილება მიწის იმ რაოდენობით, რომელიც მას განცხადებაში აქვს აღნიშნული, ხევის ამ კანონით განმარტულ სახით და საფუძვლზე.

### შენიშვნა 1. გარდა მიწის სარგებლობის მსურველის

სახელისა, მამის-სახელისა, გვარისა და მისი ბინადრობის ადგინენტის განცხადებაში ნიჩევნები უნდა იყოს: მისი ადრენდელი ხელობა, მიზანი, რომლისთვის ც თხოვლობს მიწას, ოჯახური შემადგენლობა, ან მდგომარეობა, ანგენტობა (მიწის მშრომელთა) რაოდენობა და აღვილი, საღაცი ის მიწის ნაკრებით სარგებლობას თხოვლობს, ზომა ამ ნაკრების, აგრეთვე ნიჩევნები ზომის საფუძველი.

შენიშვნა 2. საზოგადოების საბჭოს მიწის განცო-  
ლებების დადგენილება შეიძლება განსაზღვრული მიწის

ცეკვას საფუძველის

კანკალების

ეროვნული

მიწის საბჭო

ერთი კვირის გადაში სამაზრო საბჭოს ასეთსაც განყოფილებაში; სამაზრო განყოფილების გადაწყვეტილება კი— საგუბერნიო განყოფილებაში ორი კვირის გადაში.

**შენიშვნა 3.** მიწით (მიწის გულით, ტყეებით და ბუნების ცოცხალი ძალებით) სარგებლობის უფლება არა გზით და არავითარ შემთხვევაში არ, შეიძლება არც ყიდვით, არც ჯარით, არც განუქებოთ და მემკვდეობით და არც სხვა რომელიმე კრძო ხელშეკრულობით.

#### განცოცილება X.

მიწის სარგებლობის უფლებათა განხორციელება.

მუხ. 40. თითოეულ ცალკე შემთხვევაში მიწის სარგებლობის უფლება შემდეგი წესით ხორციელდება:

მუხ. 41. შენობისთვის მიწის სარგებლობის უფლება ხორციელდება მიწის ფაქტიური დაკავებით, ან მის დასაკავებლათ შემზადებით, მაგრამ არა უგვიანეს სამი თვისა მას შემდეგ, რაც მიღებულია უწყება ადგილობრივ საბჭოთა მთავრობისაგან.

**შენიშვნა.** ფაქტიურ შემზადებათ ითვლება ასაშენებელ მასალის მიტანა შენობის ასაგებ ადგილზე, ან მუშებთან ხელშეკრულების დადება ამა თუ იმ ადგილის მუშაობის დაწყების შესხებ.

მუხ. 42. ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მიწის სარგებლობის უფლება ხორციელდება,—იმ პირობით, რომ პირადი შრომა იქნება გამოყენებული,—მით, რომ ფაქტიურათ წარმოება იქნება დაწყებული მიწის მუშაობის პირველ სეზონის გახსნისთანავე.

მუხ. 43. სამიწათ-მოქმედო წარმოების დროს სახნავ მიწაზე მიწის სარგებლობის უფლება ხორციელდება მთელ ნაკვეთზე შრომის გამოყენებით (დაუქირავებლათ) არა უგვიანეს პირველ სამიწათ-მოქმედო სეზონისა ადგილობრივი შთავრობის მიწის განყოფილებისგან უწყების მიღების შემდეგ.

**შენიშვნა.** სახნავი მიწის ნაკვეთებზე მუდმივი სია-

თის შენობების აგება შეიძლება მხოლოდ აღგილობრივ საბჭოთა მთავრობის მიწის განყოფილების განსაკუთრებული ნებართვით.

მუხ. 44. თუ ვადაზე ფაქტიურათ შეუძლებელი ხდება ამა თუ იმ ნაკვეთის დამუშავება, აღგილობრივ საბჭოთა მთავრობის საადგილ-მამულო განყოფილებას შეუძლია გაადიდოს ეს ვადა, თუ მიწის დაუმუშავებლობა გამოწვეულია პ.ტივ-სმდებ მიზეზებით, როგორცაა: მუშა ძალის მძიმე ივადებულობა, სტიქიური უბედურება და სხვ.

#### გაცოცილება XI.

მიწის ჩა თუ იმ ნაკვეთის სარგებლობის უფლების სხვის სეღში გადასვლა.

მუხ. 45. არავის არ შეუძლია სხვას ვალისცეს იმ მიწების სარგებლობის უფლება, რომლებიც მის სარგებლობაშია.

მუხ. 46. მიწის სარგებლობის უფლება ეძლევა ყველას ამ კანონით დადგინდო წესით და არავითარ შემთხვევაში არ გადალის ერთი პირიდან მეორეზე.

#### გაცოცილება XII.

მიწის მოსარგებლე პირთა უფლებების შეწევეტა მათ მიერ დაკავებულ ნაკრების შესახებ.

მუხ. 47. მიწის ნაკრით სარგებლობის უფლება შეიძლება შესწყდეს ამა თუ იმ პირისთვის და ამავე დროს ეს უფლება სავსებით არ მოისპონ.

მუხ. 48. მიწის მოსარგებლეს შეუძლია განსაზღვრულ დროს სულ არ ისარგებლოს მიწის ამა თუ იმ ნაკრით და ამავე დროს ან არ დაკარგოს მომავლის-თვის ამ ნაკრით სარგებლობის უფლება მაშინ: ა) როდესაც რომელიმე სტიქიური უბედურება დროებით შეუძლებლათ ხდის მით სარგებლობას (წყლის მოვარდნა, არხების გაფუჭება და ს.); ბ) როდესაც მიწით მოსარ-



გებლე, თუმცა დროებით, მაგრამ შეიძლო ავათ განდა; გ) სახელმწიფო საფლებელებულო სამსახურის, ან იმ თანამდებობის ასრულების დროს, რომელზედაც ხ.ლხის მიერ არც არჩეული, და სხვა საზოგადოებრივი თვალსაზრისით, პა + იქ-საღებ შემთხვევაში იმ დრომდე, სანამ ისეთი პირობები შეიქნებოდეს, რომ ესა თუ ის პირი ფაქტიურად შესძლებს მის ვანკარგულებაში მყოფ მიწის ნაკრით სარგებლობას.

**შენიშვნა.** შეწყვეტის გაღას ყოველ ცალკე შემთხვევაში აღვილობრივ სასწოთა მთავრობის მიწის განკოდილება საზღვრავს.

მუხ. 49. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ყოველი ასეთი შეწყვეტის დროს (შემთხვევები, რომელ მც-48 მუხლშია აღნიშნული, აგრეთვე — დროებით შრომის უნარის დაკარგვის, სიკვდილის და სხ. შემთხვევებში) აღვილობრივი საბჭოთა მთავრობა, ქონების შენახვის შიზნით და წარმოების განსაზღობათ, ამ ოჯახებისთვის ან აწყობს საზოგადოებრივ დახმარებას, ან მიმართვს სახელმწიფო ხარჯზე დაქარავებულ შრომის; რომელიც ეჭვემდებარება მუშათა კანტროლის სამართლოს ნორმას.

### გაცოლილება XIII.

მიწის სარგებლობის უფლებათა შრისპობა.

მუხ. 50. მიწის სარგებლობის უფლება შეიძლება მოესპოს ამა თუ იმ ხამეურნეო ერთეულისთვის სიერთოთ, ან ამა თუ იმ მეურნეობის ცალკე წევრთათვის.

მუხ. 51. ამა თუ იმ პირს შეიძლება მოესპოს მიწის სარგებლობის უფლება ან სრულიად, ან მიწის ამა თუ იმ ნაკვეთის შესახებ.

მუხ. 52. მიწის სარგებლობის უფლება ესპობა სრულიად: а) დაწესებულებას, როდესაც უქმდება უკა-

ნახენელი, ან უქმდება ის მიზანი, რომლისთვისაც მიწა  
 იყო მიცემული; ბ) მშრომელ საზოგადოებებს, ამხანა-  
 გობებს, კომმუნებს — მათი დაშლის, ან საზოგადოთ,  
 სამეცნიერო ერთეულის სამოქალაქო სიკვდილის გა-  
 მო; გ) ცალკე მოქალაქეთ — მათი სიკვდილის ან სასა-  
 მართლოს მიერ ყოველივე სამოქალაქო უფლებათა  
 ჩამორჩმევის გამო; დ) ამ თუ იმ პირს, რომელსაც  
 ფაქტიურათ არ შეუძლია აწარმოოს მრეწველობა ან  
 მეურნეობა და იმავე დროს აქვს სხვა საშუალება არსე-  
 ბობისთვის (მაგალითათ, პენსიის მღებები შრომის უნარ-  
 მოკლებულის მიერ).

მეს. 53. მიწის ამა თუ იმ ნაკვეთი სარგებლობის  
 უფლება ისპობა:

ა) როდესაც ოფიციალურათ არის განცხადებული  
 უარი მიწის ამა თუ იმ ნაკრით სარგებლობის უფლე-  
 ბაზე;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც მიწით მოსარგებლებს  
 აშკარათ არ სურს მიწით სარგებლობა, თუმცა ამის  
 შესახებ მას ლფი(რალურათ არ განუკხადება);

გ) იმ შემთხვევაში, თუ მაწის ამა თუ იმ ნაკვე-  
 თით სარგებლობენ კანონით აკრძლეულ საშუალებით  
 (მაგალითათ, დაქორავებული შრომის ფრთულოთ გამო-  
 ყენება);

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ პირის  
 მიწით სარგებლობას ზარალი მოაქვს მეზობელ მეურ-  
 ნეობისათვის (მაგალითათ, ქიმიურ ნივთიერებათა  
 დამზადება).

**შენიშვნა:** მიწით მოსარგებლებს, — როდესაც მისი  
 მიწით სარგებლობის უფლება ისპობა, — თუ მან ეკი მი-  
 იღო საქმით ჯილდო შემოხველის სახით მაწის ნაკრით  
 სარგებლობის დროს, უფლება აქვს მოითხოვოს საბჭოთა

శితావ్యాఖ్యానంలో మిష్టిస్ గాన్పు.ఫ్రిల్ఫ్రీడాన్ డాక్షిషా-  
 ఫ్రిల్ఫ్రీడా గాన్పునాల్ఫ్రీబ్రీల్ గాన్పుమిక్షామీబ్రీబాతా లా ఏగ్రోత్వు ప్రా-  
 వ్యాప్తి శరీరమిస్, రంఘ్ మీల్పొ గాన్పుశ్లీ ఎజ్స్ మిష్టాసా, గా-  
 శ్చేంబ్రాసా లా శ్చేంబ్రెబిస్ అశ్వమాస్

స్చ్రుఫ్ఫాండ్ ర్యుస్పెతిస్ ఉన్స్ట్రిక్స్స్స్యుస్ అఫ్ఫిస్స్చ్రుఫ్ఫ్యుస్ క్రమి-  
 ప్రెప్రిస్ తాప్మిఫ్ఫడకమాక్స్ స్వేర్లడల్పొవ్సి.

ప్రైవ్యాంధిష్టిస్ వ్యుఫ్రెంచ్: సెపిర్లడ్పిన్పొ  
 మ్యుర్రాబ్బొవ్సి



స్చ్రుఫ్ఫిబ్బొవ్సి

క్రామ్పొవ్సి

ల్లాన్ఫ్రీరొ

స్చ్రుఫ్ఫిపొవ్సి

వ్యోల్పొదార్స్స్కి

ప్రైప్రేర్లసొన్ని

న్యాప్రాబ్బొన్ని. బొప్రొవ్సి

ఉన్స్ట్రి. ఎస్. క్రమ. మ్యోథ్స్యుబ్ది | అప్పాన్స్సొవ్సి  
 స్మిల్లింగ్స్స్కి

సాసెఫ్టెక్ క్రమిసాక్స్యుబిస్ సాబ్క్సొ తాప్మిఫ్ఫడకమాక్స్

వ్. ప్రుణొబ్బొవ్సి (సి. ఇంజినో)

మిష్టాత-ప్రైప్రేడ్స్యుబిస్ సాసెఫ్టెక్ క్రమిసాక్సి ఎ. క్రాల్ప్రోగ్స్సొవ్సి.



